სტრატეგიული განვითარების გეგმა

2022-2026

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია

სარჩევი

01

01 - პრეზიდენტის მისალმება

02

03 - სტრატეგიის მიმოხილვა

03

07 - UEFA GROW - სტრატეგიული განვითარების პროცესი

04

09 - არსებული გარემო ჩიცხვებში

05

14 - მიზანი, ხედვა და ღირებულებები

06

17 - სტრატეგიის წამყვანი მიმართულებები

07

41 - სტრატეგიის დამხმარე მიმართულებები

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲚᲛᲔᲑᲐ

ᲓᲔᲕᲐᲜ ᲙᲝᲑᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ

მოგესალმებით,

ჩემთვის დიდი პატივი და ამავდროულად პასუხისმგებლობაა წარმოგიდგინოთ ჩვენი ხედვა ფეხბურთის სტრატეგიული განვითარების შესახებ.

როდესაც ჩემ გუნდთან ერთად ავიღე ქართული ფეხბურთის განვითარების პასუხისმგებლობა, უეფასთან ერთად გავაანალიზეთ, თუ რა სხვაობა იყო ჩვენსა და დასავლურ საფეხბურთო ქვეყნებს შორის. უმთავრესი გამოწვევა, რომლის წინაშეც დავდექით, იყოს ის, რომ არ არსებობდა გეგმარება და შეფასების სისტემა. წარმატების გაზომვისა და განხორციელებული საქმიანობის შესაფასებლად აუცილებელი იყო სტრატეგიული დაგეგმარების დაწყება.

პირველი სტრატეგიული ციკლის პერიოდში, აქცენტი გავაკეთეთ იმ ძირითად მიმართულებებზე, რომელიც პირველ რიგში იდგა დღის წესრიგში. აქტიური მუშაობა დავიწყეთ მასობრივი ფეხბურთის, საფეხბურთო ინფრასტრუქტურის, ეროვნული რემპიონატის გაძლიერების, განათლების მიმართულებით, საფუძველი ჩავუყარეთ ქალთა ფეხბურთის სტრუქტურირებულ განვითარებას. განვახორციელეთ შიდა საორგანიზაციო და საშეჯიბრო ცვლილებები. ეს ყველაფერი, ჩვენი აზრით, ემსახურებოდა იმას, რომ ჩვენი ფეხბურთის განვითარება დასავლურ მოდელზე გადასულიყო.

პირველი სტრატეგიული ციკლის დასრულების შემდეგ, მას შემდეგ, რაც არაერთი შეფასება და კვლევა ჩატარდა უეფასთან ერთად, შევძელით სხვა ეტაპზე გადავსულიყავით და და ის ძირითადი მიმართულებები განგვესაზღვრა, რომელსაც ეფუძნება ფეხბურთის განვითარება და ჩამოვაყალიბეთ ფეხბურთის სამომავლო განვითარების სტრატეგიული გეგმა, რომელიც შემდგომ ოთხწლიან პერიოდს მოიცავს.

სტრატეგიის ჩამოყალიბების პროცესში ჩართული იყვნენ, როგორც ფედერაციის გუნდის წევრები, ისე ქართული ფეხბურთის წარმომადგენლები და საერთაშორისო ექსპერტები უეფადან და ფიფადან. დღეს უკვე გვეძლევა იმის საშუალება, რომ უკეთესი ანალიზი გავაკეთოთ, ამას გარდა, გავზომოთ ჩვენი წარმატება და გვქონდეს შემდეგი გეგმარებისთვის მყარი საფუძველი. მიღწეულით არასდროს ვართ კმაყოფილი ამიტომაც არის ჩვენი მიზნები ამბიციური და გვჯერა, რომ თითოეული თქვენგანის ჩართულობით, აუცილებლად მივაღწევთ ამ მიზნებს.

სტრატეგიის მიმოხილვა



წამყვანი სტრატეგიული მიმართულებები წარმოადგენს ჩვენი სტრატეგიის ხერხემალს. ეს არის სფფ-ის სტრატეგიული გეგმით განჭვრეტილი მთავარი პრიორიტეტები, რომლებიც ასახავს ჩვენს ძირითად მიზნებს.



სტრატეგიის დამხმარე მიმართულებები არის სფფ-ის შესაძლებლობებისა და რესურსების განვითარების ინსტრუმენტები, რომლებიც ხელს უწყობენ სტრატეგიული განვითარების გეგმის ეფექტურად შესრულებას.

UEFA GROW – სტრატეგიული განვითარების პროცესი



მომზადება

ნოემბერი 2021

შიდა საპროექტო გუნდის, უეფა-ს მხარდაჭერისა და მთავარი დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირება. პროექტის გრაფიკის შემუშავება.

პირველი სემინარი

დეკემბერი 2021

უეფა-ს მხარდაჭერით ჩატარებული სემინარები მთავარი შიდა და გარე დაინტერესებული მხარეებისთვის, სადაც განიხილება ხედვა, მიზნები და ძირითადი სტრატეგიული პრიორიტეტები.

არსებული სიტუაციის გაცნობიერება

დეკემბერი-თებერვალი 2022

სიღრმისეული კვლევა, რომელიც მოიცავს გასაუბრებებს, კითხვარებსა და მონაცემთა შეგროვებას არსებული სიტუაციის გასაანალიზებლად და გასაცნობიერებლად

სემინარები სტრატეგიაზე

თებერვალი 2022

სამუშაო სესიები უეფა-ს ექსპერტებთან, სფფ-ის ხელმძღვანელობასა და მენეჯმენტთან, სადაც განიხილება ძირითადი სტრატეგიული გამოწვევები და შესაძლებლობები

სტრატეგიის პროექტი

თებერვალი-მაისი 2022

სფფ-ის ხელმძღვანელობისა და პროექტის გუნდის მიერ UEFA GROW-ს სტრატეგიული ჩარჩოს ფარგლებში ფართო მიზნებისა და კონკრეტული სტრატეგიული ამოცანების შემუშავება

სტრატეგიის გადახედვა და გაუმჯობესება

ივნისი-სექტემბერი 2022

სფფ-ის ხელმძღვანელობის მიერ უეფა-ს მხარდაჭერით სტრატეგიული მიზნების გადახედვა და ჩამოყალიბება

ბოლო სემინარი

სექტემბერი 2022

დეტალური სამოქმედო გეგმა თითოეული მიმართულებისთვის, სადაც მოყვანილია პასუხისმგებლობები, ბიუჯეტი და გრაფიკი

განხორციელებისა და მონიტორინგის დაგეგმვა

სექტემბერი 2022-2026

სტრატეგიული ჩრდილოეთის განხორციელება და რეგულარული გადახედვა სფფ-ის სტრატეგიული გეგმის შემოწმებისა და გაუმჯობესების მიზნით

არსებული გარემო რისკებში

რეგისტრირებული ფეხბურთელი

2015 — 14676

120 ქალი ფეხბურთელი

2016 — 17679

2017 — 21651

2018 — 22335

2019/20 — 33167 პანდემიის წელი

2021 — 37609

1381 ქალი ფეხბურთელი

მწვრთნელთა განათლება

UEFA-ს PRO, A, B, C, მეკარეების B, ფუტსალის B

1920 დიპლომია გაიცა 2015 წლიდან

2015 - 16 PRO დიპლომია
2022 - 60 PRO დიპლომია

მსაჯები

210

ტიტულები

13 2015 **29** 2022

სფფ-ის ეგიდით ჩატარებული მატჩების რაოდენობა წლიურად

1127 2015 **3946** 2022

UEFA-Ს ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲚᲘᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲖᲦᲕᲠᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲣᲯᲣᲒᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑᲚᲘᲗ

€ 197.25 მ

ᲩᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲮᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲘᲜᲕᲔᲡᲢᲘᲪᲘᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲨᲘ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲩᲔᲛᲮᲘᲠᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲛᲐᲧᲣᲠᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲑᲐ

0.2 მ 2017 **2.74 მ** 2021 **2.6 მ** (ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ) **2022**

37 ᲡᲐᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲝ ᲛᲝᲔᲓᲐᲜᲘ ᲐᲨᲔᲜᲓᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲓᲐ 2016 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ

18 ᲡᲐᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲝ ᲛᲝᲔᲓᲜᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ

ჩვენი მიზანი, ხედვა და ღირებულებები



ჩვენი მიზანი და ხედვა

მიზანი

ჩართულობის გაზრდით, ერთიანობის უზრუნველყოფით და ეროვნული სიამაყის გაძლიერებით ხელი შევუწყოთ პოზიტიური ცვლილებების განხორციელებას და ამით გარდამტეხი როლი შევასრულოთ ქართულ საზოგადოებაში.

ხედვა

უზრუნველვყოთ ხელშესახები და მდგრადი განვითარება ერთიანი საფეხბურთო საზოგადოების მეშვეობით.

ღირებულებები

ნდობა

ჩვენ ჩამოვაყალიბებთ ძლიერ და პოზიტიურ საფეხბურთო სტრუქტურას. ჩვენ გვჯერა, რომ სფფ-ს, საფეხბურთო საზოგადოებასა და ძირითად დაინტერესებულ მხარეებს შორის ურთიერთნდობა წარმატების საწინდარია. ჩვენ გვსურს დაინტერესებულ მხარეებთან დავამყაროთ და შევინარჩუნოთ პოზიტიური ურთიერთობები ღია და პასუხისმგებლიანი ქმედებებით.

განვითარება

ჩვენი ორგანიზაციის ერთ-ერთი პრიორიტეტია განვითარებაზე ყურადღების გამახვილება. ჩვენი მიზანია ყველა მიმართულებით მუდმივი წინსვლა და გაუმჯობესება. ჩვენ განვაგრძობთ ყველა საფეხბურთო მიმართულებით განვითარების ხელშეწყობას.

თანასწორობა

თანასწორობა ჩვენი ორგანიზაციის ერთ-ერთი მთავარი პრინციპია. ჩვენი მიზანია, უზრუნველვყოთ ფეხბურთში ჩართულობის შესაძლებლობები ყველა ადამიანისთვის მათი ასაკის, შესაძლებლობისა და სქესის მიუხედავად.

პასუხისმგებლობა

ჩვენ ვაცნობიერებთ საკუთარ პასუხისმგებლობას საფეხბურთო საზოგადოებისა და დაინტერესებული მხარეების წინაშე. ჩვენ ავიღებთ ყველა მიმართულებით პასუხისმგებლობას, რათა უზრუნველვყოთ ქართული ფეხბურთის წარმატება.

სტრატეგიის წამყვანი მიმართულებები

CROSS CULTURES
DENMARK

ერთიანი სივრცე, მდგრადი სანაკრებო წარმატებისთვის

განვავითარებთ მალადი ინტენსივობის სპორტული კულტურა ეროვნული გუნდების გარშემო. მუდმივად დავრწმუნდეთ, რომ ნებისმიერ დონეზე, სამუშაო პროცესი, ყველა მიმართულებით დროსთან ადეკვატურ თანამედროვე სტანდარტს შეესაბამება

საქართველოს ეროვნული გუნდების ისტორია 3 დეკადაზე მეტს მოითვლის. ამ დროის მანძილზე, სანაკრებო სტრუქტურაში მოქცეული გუნდები, ერთიანი სათამაშო ფილოსოფიის ქვეშ გაერთიანებული არასოდეს ყოფილან; ეროვნული გუნდების კადრობრივი და ტექნიკური უზრუნველყოფა, ასევე საწვრთნელი პროცესებისთვის შექმნილი გარემო, არასოდეს პასუხობდა დროსთან ადეკვატურ თანამედროვე სტანდარტებს.

განვლილი 6 წლის მანძილზე, ეროვნული გუნდების სათამაშო ფილოსოფია, ამავე სახელწოდების დოკუმენტის მიხედვით არის განსაზღვრული, რომელიც ყველა ასაკობრივ ჯგუფს და ეროვნულ ნაკრებს საერთო პრინციპების გარშემო აერთიანებს, რაც შემდგომ, ახალგაზრდა ფეხბურთელებს ეროვნულ გუნდთან ადაპტირების პროცესში ეხმარება. ნაკრების საწვრთნელი გარემო და ტექნიკური უზრუნველყოფა პასუხობს თანამედროვე სტანდარტებს და შეკრებიდან შეკრებამდე არის იმის მზაობა, რომ ეს პროცესი მუდმივად გაუმჯობესდეს.

განხორციელებული ცვლილებების შედეგად, ეროვნულმა ნაკრებმა უეფას ერთა ლიგის ჯგუფური ეტაპის მოგება შეძლო და ევროპის ჩემპიონატის პლეი-ოფში ითამაშა; 2018-2022 წლებში, თითოეული კალენდარული წლის მანძილზე, ასაკობრივი გუნდებიდან ეროვნულ გუნდში მინიმუმ 3 ახალი ფეხბურთელის ინტეგრირებამ რეგულარული სახე მიიღო. გარდა ამისა, მსგავსი მიდგომა გავრცელდა ფუტსალის ნაკრებზეც, რაც საბოლოოდ ისტორიაში პირველად ამ გუნდის ევროპის ჩემპიონატზე ასპარეზობით დასრულდა.

სათამაშო ფილოსოფია

სათამაშო ფილოსოფია, რომელიც ეროვნულ გუნდებს საერთო ჰრინციპებისა და ხედვის გარშემო აერთიანებს

ეროვნული გუნდების მართვა ერთიანი სათამაშო ფილოსოფიის მიხედვით. ჰროცესის მუდმივი მონიტორინგი და საჭიროებისამებრ განახლება.

ინფრასტრუქტურა

შევქმნათ ეროვნული გუნდებისთვის უმაღლესი სტანდარტის ინფრასტრუქტურული ჰირობები

2026 წლამდე, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და ტექნოლოგიით აღჭურვილი ერთიანი სანაკრებო ტექნიკური ცენტრის მშენებლობის დაწყება.

ორი მცირე ზომის სანაკრებო ცენტრის შექმნა, საქართველოს 2 სხვადასხვა რეგიონში.

მუდმივმატკივარი

მეტად გავაღრმაოთ მუდმივმატჭივრებთან ურთიერთობა, რადგან გვჯერა, რომ ქომაგი თანამონაწილე უნდა იყოს ნაკრების წარმატების

სფფ-ის კომუნიკაციისა და ინტეგრირებული მარკეტინგის სტრატეგიის შესაბამისად, მოხდეს შიდა და გარე კომუნიკაციის სტრატეგიის გადახედვა. სფფ-ის მიერ, შეფასებული იყოს მუდმივმატკივარის ჩართულობისა ხარისხი და მოხდეს ამის ანალიზი. რეგულარულად განაახლდეს მუდმივმატკივართა ციფრული ბაზა.

ქართული დიასპორებთან ურთიერთობის გაძლიერება და გაღრმავება ეროვნული ნაკრები გუნდების საგუდმივმატკივრო არეალის გაზრდის მიზნით

ერთიანი სანაკრებო ბრენდის კომუნიკაცია - დაინტერესებული მხარეების, ბრენდის ფილოსოფიის და კომუნიკაციის სტრატეგიის მიხედვით.

ახალგაზრდული ფეხბურთის წამყვანი ჩემპიონის განვითარება

გავაუმჯობესოთ სანაკრებო სელექციის და სხვადასხვა ასაკობრივ მუდმივს შორის მოთამაშეთა ტრანზიციის ჰროცესი.

ცენტრალიზებული წამყვანი ახალგაზრდული ლიგების მუდმივი მონიტორინგი.

ასაკობრივ ნაკრებთა სამატჩო და საშეჯიბრო ჩართულობის ზრდა; სასელექციო ჰროცესის გაუმჯობესება.

სპორტული პროცესი

ჩვენი ეროვნული გუნდების გარშემო შევქმნათ მაღალი ხარისხის საშეჯიბრო ეკოსისტემა, რომელიც მოიცავს სპორტულ მეცნიერებასა და მედიცინას.

სპორტული მეცნიერების მიმართულების გაძლიერება, რაც გულისხმობს ფეხბურთში არსებული თანამედროვე სამედიცინო, ანალიტიკური და სხვა ტექნოლოგიების განვითარებას და გამოყენებას.

1
3
2
15
22
19
11
7
6
20
4
1
2
15
22
19
11
7
6
20

„მე ვარ საქართველო“ - საქართველოს ეროვნული გუნდების ახალი იდენტობა

„მე ვარ საქართველო“ – საქართველოს ეროვნული გუნდების ახალი იდენტობა

დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ისტორიაში პირველად, ეროვნული გუნდებისთვის ერთიანი ბრენდ პლატფორმა შეიქმნა.

პირველ რიგში, შემუშავდა ბრენდის პლატფორმა, რომლის უმთავრესი იდეა სპორტსმენების მუდმივი თვითგანვითარებაა, რადგან სწორედ ამგვარი ინდივიდებისგან შემდგარი ერთობა ხდის ეროვნულ ნაკრებს კონკურენტულ და ანგარიშგასაწევ ძალად საერთაშორისო ასპარეზზე.

შეიცვალა ბრენდის ვიზუალური იდენტობა, სადაც ბრენდის არქერტიპი გმირია. ის, ვინც საკუთარ თავში სისუსტეს ამარცხებს და საკუთარი მიზანდასახულობით, სხვებსაც შთააგონებს.

ამ შინაარსის გამომხატველი ვიზუალური სიმბოლიკა თავად ჩვენი ქვეყნის გერბზეა გამოსახული - წმინდა გიორგი სიძლიერის, იმედის, ბოროტებასთან ბრძოლის სიმბოლოა.

ამ სიმბოლოს ერთ-ერთი მთავარი ინტერპრეტაცია საკუთარ სისუსტეებზე გამარჯვებაა - ნებისმიერ მეტოქეს დაამარცხებ, თუ დაამარცხებ სისუსტეს შენში. სწორედ ამიტომ იქცა ამ სიმბოლოს განახლებული, თანამედროვე ვარიაცია ეროვნული ნაკრების ბრენდის ვიზუალურ იდენტობად.
სიმბოლოს მოყვა ვიზუალური სტილიც. მასში გამოყენებული უნიკალური “პატერნი" ქართულ ხასიათსა და სიმბოლიკას ჰარმონიულად აერთიანებს ბრენდის იდენტობასთან.

მე ვარ საქართველო

“მე ვარ საქართველო” - ბრენდის ახალი სლოგანი და ვერბალური იდენტობაა, რომელიც ახალ იდეოლოგიას ახმოვანებს.

ამ ფრაზას, ერთის მხრივ, ამბობს ბრენდი, რომელიც ქვეყანას მსოფლიო ასპარეზზე წარმოარენს და თავიდან ეცნობა სამყაროს, მეორეს მხრივ, ამბობს ფეხბურთელი რომელიც პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე იღებს, ყოველდღიური ძალისხმევით მუდმივად ვითარდება, ავლენს საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმუმს და ამგვარად ახდენს კონტრიბუციას საერთო საქმეში და ასევე ამბობს გულშემატკივარიც, რომელიც მთელი ქვეყნის სახელით უჭერს მხარს ეროვნულ ნაკრებს.

შეიცვალა საფეხბურთო ნაკრების ფორმების დიზაინიც - ვიზუალური იდენტობის მიხედვით შეიქმნა სამი განსხვავებული ფორმა (საშინაო, საგარეო და მესამე), რომლებიც ირეკლავს ბრენდის ახალ ფილოსოფიას, ითვალისწინებს თანამედროვე ვიზუალურ ტრენდებს, აძლიერებს ნაკრებს, როგორც ბრენდს და გულშემატკივრებს ახალ, ეროვნულ სიმბოლიკასთან შესაბამისობაში მყოფ ვიზუალურ გადაწყვეტას სთავაზობს.

ბრენდის ახალი პლატფორმის შექმნის პროცესში, ფეხბურთის ფედერაციასთან ერთად, ფეხბურთთან ასოცირებული სხვადასხვა ჯგუფების წარმომადგენლები იყვნენ ჩართული - როგორც მოქმედი და ვეტერანი ფეხბურთელები, ისე გულშემატკივრები და ჟურნალისტები. ბრენდის ახალ პლატფორმაზე საკომუნიკაციო სააგენტო ვინდფორსმა იმუშავა.

პროფესიული საფეხბურთო სტრუქტურის ოპტიმიზაცია

ყველა დაინტერესებულ მხარესთან თანამშრომლობით უზრუნველვყოფთ საფეხბურთო გარემოს მდგრად განვითარებას, რათა შევქმნათ საუკეთესო პლატფორმა ჩვენი კლუბების წარმატებისთვის.

საქართველოს ჩემპიონატი ფეხბურთში - ეროვნული ლიგა, ახალი ფორმატით და ახალი სახით სტარტს 2017 წლიდან იღებს. ჩემპიონატის გარშემო, ამ წელს ორი მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა - სპორტული, საშეჯიბრო სახის და მარკეტინგული, რომელიც თავის თავში სატელევიზიო პროდუქტსაც გულისხმობდა.

2017 წლის სეზონში, ლიგა ახალ საშეჯიბრო ფორმატზე გადავიდა. 2017 წლის სეზონში (რაც დღემდე გრძელდება), ჩემპიონატის ისტორიაში პირველად ყველა თამაშის პირდაპირი ტრანსლაცია განხორციელდა. ამავე სეზონიდან, ფუნქციონირებს ლიგის ცალკე, სტატისტიკის მაგენერირებელი ვებ-გვერდი, სოციალური მედიის არხები, სათამაშო ფორმის და მოედნის პერიმეტრის ცენტრალიზებული რეგულაციები; შეიქმნა ჩემპიონატის ახალი ვიზუალური და აუდიო იდენტობა.

ამ ცვლილებების შემდეგ, მომდევნო სეზონიდანვე, შიდა საფეხბურთო რეალობისთვის უპრეცედენტო პირობებით გაიყიდა ლიგის დასახელება და 2018 წლიდან დღემდე, ჩემპიონატი 'კრისტალბეთ ეროვნული ლიგის' სახელს ატარებს. დღეს, ლიგაში მოასპარეზე 10 გუნდიდან, 9 კერძო საკუთრებაშია - ჩემპიონატის კომერციალიზაცია და კლუბების განკერძოების პროცესი, სფფ-ის ერთ-ერთი მთავარი მიზანი გახდათ, რაც მუდმივად განვითარებადი პროცესია, რომელიც ევროთასებზე მიღწეული წარმატების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობა უნდა გახდეს, მიზნის, რომელიც დღემდე მთავარ გამოწვევად რჩება.

კლუბის მართვის და ლიცენზირების რარიტეტები

საკლუბო ლიცენზირებისა და მმართველობის გაძლიერებული რარიტეტის მეშვეობით, უზრუნველვყოთ შეჯიბრების სამართლიანობა, შევინარჩუნოთ კონკურენტული ბალანსი და ხელი შევუწყოთ მდგრადობას ეროვნულ ლიგებში.

2023 წლის ბოლოს, გადავხედოთ პრაქტიკას და კვლევაზე დაყრდნობით დავნერგოთ კლუბების მფლობელთა შესაბამისობის განმსაზღვრელი პროტოკოლი, ასევე ფინანსური რეგულაციები.

2024 წლისთვის, ჩამოვაყალიბოთ ციფრული პლატფორმა ლიგის მმართველობისა და საშეჯიბრო ოპერაციებისთვის.

2024 წლისთვის, დავნერგოთ პროგრამული უზრუნველყოფა FIFA Connect კაცთა და ქალთა ჩემპიონატების პირველ 2 დივიზიონში.

2025 წლისთვის, გავაფართოვოთ საკლუბო ლიცენზირების ჩარჩო, რათა წავახალისოთ კლუბების ორგანიზაციული განვითარება და ავამაღლოთ შრომითი სტანდარტი.

საშეჯიბრო გარემოს განვითარება

მოვახდინოთ საშეჯიბრო სტრუქტურების ოპტიმიზაცია და გავაუმჯობესოთ სხვადასხვა მიმართულებები, რათა მაქსიმალურად გავზარდოთ კომერციული და გულშემატკივართა ინტერესი; უზრუნველვყოთ კონკურენტული ბალანსის უწყვეტი მონიტორინგი და გაუმჯობესება, რათა გრძელვადიან პერსპექტივაში გავაძლიეროთ ჩემპიონატი.

2024 წლისთვის, ვისარგებლოთ ეროვნული ლიგის ანალიტიკური დეპარტამენტის ჩამოყალიბებით და წავახალისოთ ჩემპიონატის განვითარება.

2023 წლისთვის, ვისარგებლოთ UEFA-ს შეჯიბრების ოპტიმიზაციის სერვისებით.

2024 წლისთვის, გავაუმჯობესოთ ქალთა ლიგის საშეჯიბრო სტანდარტი - ეს უნდა მოხდეს ლიგის ახალი სტრუქტურის შემუშავებით და ქალთა პროფესიული კლუბების რაოდენობის გაზრდით.

პროფესიულ კლუბებთან თანამშრომლობით, წავახალისოთ მათი ჩართულობა ფუტსალის ჩემპიონატში და 2024 წლისთვის შემოვიღოთ ახალი 17-წლამდელთა შეჯიბრი, რათა გავზარდოთ ფუტსალში ახალგაზრდა მოთამაშეების რაოდენობა.

ჩართულობა და დასწრება ეროვნულ ლიგაში

ავამაღლოთ ეროვნული ლიგის შესახებ ცნობიერება და გავზარდოთ ჩართულობა დაინტერესებულ მხარეთა სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბების, ასევე ინტეგრირებული მარკეტინგული და საკომუნიკაციო გეგმის შემუშავების მეშვეობით.

2023 წლისთვის, ჩამოვაყალიბოთ დაინტერესებული მხარეთა, გულშემატკივართან ურთიერთობის სამუშაო ჯგუფები.

2023 წლისთვის, შევიმუშაოთ და განვახორციელოთ კოორდინირებული და ცენტრალიზებული საკომუნიკაციო და მარკეტინგული კამპანია, რათა ავამაღლოთ ეროვნული ლიგის შესახებ ცნობიერება.

2023 წლიდან ავამოქმედოთ მარკეტინგული და მედია-შესაძლებლობების განვითარების პროგრამა პროფესიული კლუბებისთვის, რათა წავახალისოთ გულშემატკივართა ჩართულობა. შევქმნათ გულშემატკივართა ცენტრალიზებული მონაცემთა ბაზა.

დაფინანსება და მდგრადობა

უზრუნველვყოთ პროფესიული ლიგების დაფინანსების მოდელის ოპტიმიზაცია მდგრადი განვითარების სტიმულირებისთვის და გამოვიყენოთ ჯრეატიული მიდგომა კომერციული შემოსავლების გამომუშავების მიზნით, რათა შევქმნათ საუკეთესო პირობები ჩემპიონატის მდგრადი განვითარებისთვის.

2023 წლისთვის, განვახორციელოთ ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდის დაფინანსების სრული გადახედვა, სტიმულირების ოპტიმიზაცია და ლიცენზირებასთან შესაბამისობაში მოყვანა გრძელვადიანი განვითარების გეგმასთან.

2023 წლის ბოლოსთვის, განვახორციელოთ კომერციული მიმართულებების ანალიზი (აუდიტი, პაკეტების შემუშავება, ცენტრალური და ინდივიდუალური უფლებები, სპონსორობა, მონაცემები, მაუწყებლობა, ლიცენზირება).

სამუშაო ძალისა და შესაძლებლობების განვითარება

მაქსიმალურად გავზარდოთ ლიგისა და კლუბების ადმინისტრაციაში, საკვანძო ორგანიზაციული ფუნქციებისა და როლების შესრულების ეფექტურობა ლიგის სამუშაო გუნდისა და ძირითადი სერვისების ცენტრალიზაციის მეშვეობით.

2023 წელს, ჩავატაროთ კლუბებისა და ჩემპიონატების სტრუქტურებში დასაქმებული ადამიანური რესურსის სრული აღწერა.

2023 წლისთვის, გამოვავლინოთ ხარვეზები და შევიმუშაოთ მათი აღმოფხვრის სტრატეგიები.

2024 წელს, შევიმუშაოთ კლუბებში შესაძლებლობათა განვითარების ინიციატივები

საქართველოს
თასი

მასობრივი ფეხბურთის ინკლუზიური ღონისძიები, როგორც ჩვენი ფეხბურთის განვითარების მთავარი საყრდენი

ხედი შევუწყოთ კლუბებისა და რეგიონული ფეხბურთის ფედერაციების გაძლიერებას და მათთან აქტიური თანამშრომლობით, შევქმნათ ყველასთვის ხელმისაწვდომი, ხარისხიანი, უსაფრთხო და სასიამოვნო საფეხბურთო გარემო, რათა მაქსიმალურად გავზარდოთ შესაძლებლობები და მივაღწიოთ განვითარების ამბიციურ მიზნებს

2015 წელს, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ ჩატარებული დეტალური აღრიცხვით დადგინდა, რომ ქვეყანაში ფეხბურთს მხოლოდ 13,600 რეგისტრირებული მოთამაშე თამაშობდა.

პირველი ნაბიჯი, ამ პრობლემის დასაძლევად, ორგანიზაციის შიგნით მასობრივი ფეხბურთის დეპარტამენტის შექმნა გახდათ, რომელმაც მაღევე შეიმუშავა საერთო გეგმა და ამ მიმართულებით არაერთი პროექტი, მათ შორის ქალთა ლიგა, მასტერ ლიგა და მოყვარულთა ლიგა, პროექტი, რომელმაც 2018 წელს უეფას ვერცხლის ჯილდო მიღიიო.

გარდა ამისა, 2016 წელს, მასობრივი ფეხბურთის დეპარტამენტის წლიური ბიუჯეტის გეგმის ინტეგრირება, სახელმწიფოს მიერ სუბსიდირებული საფეხბურთო მიმართულებების ნუსხაში პირველად მოხდა, რომელიც პროფესიული ფეხბურთის ფარგლებს პირველად გასცდა.

ზემო აღნიშნული ცვლილებების და წარმატებით განხორციელებული პროექტების შემდეგ, დღეს საქართველოში ფეხბურთს 38,000 რეგისტრირებული ფეხბურთელი თამაშობს, თუმცა ამ რიცხვის ზრდა, ორგანიზაციის ერთ-ერთ პრიორიტეტად მაინც რჩება. მომდევნო სტრატეგიული ფაზის მიზანი ამ რიცხვის 45 ათასამდე გაზრდაა.

შეჯიბრებები

ჩამოვაყალიბოთ და განვავითაროთ რეგულარული, სტრუქტურირებული შეჯიბრები მოყვარულთა, ქალთა და ახალგაზრდული გუნდებისთვის.

2023 წელს, ჩავატაროთ სამოყვარულო ლიგა ახალი ფორმატით თითოეულ რეგიონში, საპილოტე რეჟიმში.

2022 წლიდან, მთელი ქვეყნის მასშტაბით დავიწყოთ რეგულარული 7x7 ჩემპიონატის დანერგვა 15-წლამდე გოგონათა შორის.

2023 წელს, ავამოქმედოთ მოყვარულთა ლიგის ახალი სტრუქტურა ყველა რეგიონში, რათა გავზარდოთ კონკურენტუნარიანობა.

ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელობით, ჩამოვაყალიბოთ სამუშაო ჯგუფი, რომელიც 2023 წლიდან ყოველწლიურად შეაფასებს და გააუმჯობესებს თამაშების მოქნილ ფორმატებს.

ფეხბურთი სკოლებში

ეროვნული პროგრამის "ფეხბურთი სკოლებში" დანერგვის საშუალებით, ფეხბურთი კიდევ უფრო ხელმისაწვდომი გავხადოთ ბავშვებისთვის.

2022 წლის ბოლოსთვის, 10 საჯარო სკოლაში განვახორციელოთ საპილოტე პროგრამა "ფეხბურთი სკოლებში"

2023 წლის იანვრიდან, დავნერგოთ პროგრამა "ფეხბურთი სკოლებში" 30 საჯარო სკოლაში თბილისსა და რეგიონების მასშტაბით.

პროექტში "ფეხბურთი სკოლებში" 2026 წლისთვის, ჩართული იყოს 100 სკოლა, 100 ღირებული მწვრთნელი და 2000-მდე ბავშვი.

კლუბები და ბავშვთა საფეხბურთო სკოლები

განვავითაროთ სამოყვარულო ფეხბურთი კლუბების განვითარების პროექტის საშუალებით

2023 წლისთვის, სამოყვარულო კლუბებისთვის შევიმუშაოთ რეკომენდაციების და სტანდარტებისა დამხმარე სახელმძღვანელოების პაკეტი, რომლის გადხედვაც ყოველწლიურ სახეს მიიღებს.

2026 წლის ბოლოსთვის, რეგისტრირებული გვყავდეს მინიმუმ 50 სამოყვარულო კლუბი და 1000 მოთამაშე კლუბების განვითარების პროექტის საშუალებით

2022 წლიდან დავნერგოთ სფფ-ის ბავშვთა საფეხბურთო სკოლების კატეგორიზაციის პროექტი, რომლის ფარგლებშიც მოხდება 120 სუბიექტის განხილვა და კატეგორიის მინიჭება.

2026 წლისთვის, საქართველოში მოქმედ ყველა ბავშვთა საფეხბურთო სკოლას უნდა გააჩნდეს სულ მცირე მეოთხე კატეგორიის სტატუსი.

მასობრივი ფეხბურთის განვითარებაში ჩართული ადამიანური რესურსი

ხელი შევუწყოთ რეგიონულ ფედერაციებს მწვრთნელთა განათლების, მასობრივი ფეხბურთის ღირებების კურსებისა და შესაძლებლობათა განვითარების სხვა ინიციატივების განხორციელებაში.

ყოველწლიურად მოვამზადოთ 100 UEFA-ს C ლიცენზიის მქონე მწვრთნელი და 100 UEFA-ს D ლიცენზიის მქონე მწვრთნელი.

შევქმნათ განვითარების ისეთი გზა, რომელიც ნიჭიერ მოთამაშეს შესაძლებლობების რეალიზების საშუალებას მისცემს

ჩამოვაყალიბოთ განვითარების უწყვეტი პროცესი, მაქსიმალურად გავზარდოთ შესაძლებლობები ყველასთვის და ხელი შევუწყოთ ნიჭიერი ქართველი ფეხბურთელების იდენტიფიცირებას, განვითარებასა და ალზრდას.

2016 წელს, სფფ-ის მიერ, ქვეყანაში არსებული ინფრასტრუქტურის და ახალგაზრდულ ფეხბურთში ჩართული პირების აღწერა/შეფასება მოხდა - როგორც ფეხბურთელების, ისე ადმინისტრაციული თანამშრომლებისა თუ მწვრთნელების. მძიმე შედეგები დაფიქსირდა როგორც დედაქალაქში, ისე მის გარეთ, თუმცა უდიდესი ყურადღება მაინც რეგიონებმა მიიქცია, სადაც უამრავი გუნდი არ იღებდა რემპიონატებში მონაწილეობას და მათი არსებობა მხოლოდ ფურცელზე სახელით შემოიფარგლებოდა.

2016 წლის აპრილში, შეიქმნა ფიფას რეგიონთა პროექტი, რომლის მიხედვით, ყველა რეგიონში დაინიშნა ორი ღიცენზირებული მწვრთნელი. მათ ჩაატარეს სასელექციო სამუშაოები და ჩამოაყალიბეს რეგიონთა ნაკრები (თავდაპირველად - U13). ამ პროექტის ფარგლებში, მთელი საქართველოს მასშტაბით ჩატარდა რემპიონატი, ხოლო გამარჯვებული გუნდი გაემგზავრა გერმანიაში ამხანაგური მატჩების გასამართად. აქედან არჩეული საუკეთესო ფეხბურთელები სფფ-ის რეგიონალურ აკადემიებში მოხვდნენ, სადაც 2-წლიანი მოსამზადებელი პროცესი გაიარეს. დღესდღეობით, სკაუტირების სისტემა უფრო ეფექტურად მუშაობს, რადგან გაიზარდა როგორც აკადემიების, ისე ტექნიკური ცენტრების რაოდენობა. შესაბამისად უფრო მეტ ფეხბურთელს ეძლევა საშუალება განვითარდეს როგორც პროფესიონალი ფეხბურთელი და ახალგაზრდობიდანვე იცხოვროს/ივარჯიშოს მაღალი სტანდარტების მქონე, თანამედროვე პირობების მქონე გარემოში.

მნიშვნელოვანი გახდათ წვრთნისა და ალზრდის კომპენსაციის წესში, ერთვნულ დონეზე ასაკის დაწევის ცვლილება, რომლის მიზანიც პატარა კლუბებისთვის მოტივაციის შენარჩუნება და მათი მეტი სტიმულირება გახდათ. გარდა ამისა, ღიცენზირების კომიტეტში შევიდა ცვლილება, რის შედეგადაც ბავშვთა ასაკში (6-12 წლამდე) პრიორიტეტად ჩაითვალა C ღიცენზიის მქონე მწვრთნელის დასაქმება, რამაც კლუბებში, ასაკების მიხედვით მწვრთნელთა კვალიფიკაციების სწორი გადანაწილება მოახდინა და დამწყები, ახალგაზრდა მწვრთნელების მოტივაცია მეტად გაალვივა.

კატეგორიზაციის და მონიტორინგის პროექტი, მიზნად ისახავდა საქართველოში ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობას ყველა დონეზე - ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელებას და სფფ-ის მიერ დამტკიცებული დებულებისა და გაცემული რეკომენდაციების შესაბამისად, დაინტერესებული მხარეების ინფორმირებულობის ხარისხის ამაღლებას. შემდგომში, ამ პროცესების მუდმივ მონიტორინგს, რაც მიმდინარე სამუშაოების ნაწილია.

ნიჭიერ მოთამაშეთა იდენტიფიცირება

შევქმნათ ნიჭიერ ფეხბურთელთა იდენტიფიცირებისა და განვითარების ინტეგრირებული სისტემა, რომელიც მოერგება ეროვნული გუნდის ფილოსოფიას და უზრუნველჰყოფს ისეთი გზის შექმნას, რომელიც ახალგაზრდა მოთამაშეს მასობრივი ფეხბურთიდან, რიგით ფეხბურთელთა საწვრთნელ პროცესებამდე მიიყვანს.

2024 წლისთვის, მოვარგოთ ნიჭიერ ფეხბურთელთა იდენტიფიცირების და განვითარების პროცესი ეროვნული გუნდის ფილოსოფიას.

ინფრასტრუქტურული მიმართულების პარალელურად, 2026 წლისთვის, ქვეყნის მასშტაბით ჩამოვაყალიბოთ სფფ-ის 3 ახალი აკადემია და 6 ახალი საფეხბურთო ცენტრი.

2026 წლისთვის, 20 წამყვანი კლუბი დავაკავშიროთ პროგრამაში "ფეხბურთი სკოლებში" ჩართული 100 სკოლასთან.

2024 წლისთვის, დავნერგოთ ყოველთვიური სკაუტინგის პროგრამები/ღონისძიებები თითოეული რეგიონისთვის. 2024

წამყვანი ახალგაზრდული კლუბები

უზრუნველვყოთ, რომ წამყვანი ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების შესაძლებლობები, გაუმჯობესდეს დაინტერესებული მხარეებთან მჭიდრო ურთიერთობისა და ახალი მხარდამჭერი რეგულაციების თანხლებით.

2024 წლისთვის, საკლუბო ლიცენზირების პროგრამის ფარგლებში შემოვიღოთ ხუთი სავალდებულო ასაკობრივი კატეგორია წამყვანი კლუბებისთვის.

2026 წლისთვის, ხუთმა კლუბმა/საწვრთნელმა ცენტრმა მოიპოვოს I კატეგორიის სტატუსი, 10 - II კატეგორიის სტატუსი, ხოლო ყველა დანარჩენმა IV კატეგორიის სტატუსი.

დავრწმუნდეთ, რომ ყველა საფეხბურთო დაწესებულება დაიცავს უსაფრთხოებისა და ხარისხის სტანდარტებს.

წამყვანი ახალგაზრდული შეჯიბრები

შევქმნათ მაღალი ხარისხის საშეჯიბრო სისტემა ყველასთვის, სადაც ჩართულობის პროცესი იძლება სახალისო, მთამაგრონებელი და სასიამოვნო.

2026 წლისთვის, თითოეული რეგიონში მოქმედებდეს სულ მცირე ერთი აკადემია ან საფეხბურთო ცენტრი.

2023 წლიდან, თითოეული რეგიონში უნდა ჩატარდეს სულ მცირე ერთი რეგულარული ტურნირი.

2023 წლისთვის, ჩავატაროთ რეგიონალური შეჯიბრები/ტურნირები სულ მცირე ხუთ ასაკობრივ კატეგორიაში.

2023 წლისთვის, ჩამოვაყალიბოთ ცენტრალიზებული საკომუნიკაციო მედია-პლატფორმა 15, 17 და 19-წლამდელთა ჩემპიონატებისთვის, რათა გავზარდოთ ცნობიერება და შევქმნათ პოზიტიური გარემო წამყვანი ახალგაზრდული ტურნირებისთვის.

მწვრთნელები და ადამიანური რესურსი

ოპტიმალური მხარდამჭერი სამუშაო ძალის ჩამოყალიბებით, ხელი შევუწყოთ წამყვანი ახალგაზრდული საფეხბურთო ეკოსისტემის განვითარებას.

სამუშაო ძალის განვითარება - თითოეული რეგიონს უნდა გააჩნდეს სულ მცირე 3 მსაჯთა ბრიგადა, რომელიც შეგვება ადგილობრივი მსაჯებისგან.

უზრუნველვყოთ მწვრთნელთა განათლების ხელმისაწვდომობა.

ყველა რეგიონში ყოველწლიურად უზრუნველვყოთ წვდომა UEFA-ს C ლიცენზიის სამწვრთნელო კურსებზე.

სწრაფვა ქალთა ფეხბურთის განვითარებისკენ

შევიმუშავებთ და დავნერგავთ ქალთა ფეხბურთის საერთო ეროვნულ სისტემას და უზრუნველვყოფთ მის სოციალურ და ფინანსურ მდგრადობას მომავალი თაობებისთვის.

საქართველოში, ქალთა ფეხბურთმა პირველი ნაბიჯები, 90-იანების შუა წლებში გადადგა. თუმცა, ამ და შემდგომი პერიოდის აქტივობები ძირითადად ნაკრების ცალკეული მატჩებით და არაოფიციალური მინი ტურნირების ორგანიზებით შემოიფარგლებოდა. 2016 წლიდან, საქართველოში ქალთა ლიგა რეგულარული სახით ტარდება; 2019 წლიდან კი სტარტი აიღო საქართველოს თასმა ქალთა შორის; ხოლო 2021 წლიდან ქალთა ჩემპიონატი 2 ლიგად ტარდება, სადაც ჯამში 19 კლუბი თამაშობს.

რეგულაური ჩემპიონატის და ქალთა სანაკრებო სისტემის გარშემო, დღეს ქვეყანაში თავს იყრის 1,700-მდე რეგისტრირებული ფეხბურთელი. ხოლო, ქალთა ფეხბურთში განხორციელებული მასობრივი ფეხბურთის პროექტებში, ჯამში 2000 გოგონაა ჩართული.

მასობრივი ფეხბურთის პროექტებიდან, ქალთა ლიგის გავლით, ქალთა ეროვნულში და ქალთა ასაკობრივი ნაკრებებში არაერთმა გოგონამ ითამაშა და განვლილ წლებში განხორციელებული საქმის უპირველესი მიზანიც სწორედ ეს, მსგავსი წრის შეკვრა გახლდათ.
ქალთა ფეხბურთის განვითარებლად კვლავ ბევრი მნიშვნელოვანი ნაბიჯია გადასადგმელი და ჩვენ პრიორიტეტია ფეხბურთის თამაში ხელმისაწვდომი იყოს ყველა ასაკობრივი ჯგუფისთვის მთელი საქ მასშტაბით.

ქალებისა და შეჯიბრების განვითარება

შევქმნათ შესაძლებლობების უწყვეტი ნაკადი, რაც საშუალებას მოგვცემს, გამოვავლინოთ და განვავითაროთ ჩვენი ნიჭიერი მოთამაშეები.

2024 წლისთვის, ჩამოვაყალიბოთ გოგონათა გუნდები ყველა იმ კლუბში, რომელსაც გააჩნია პირველი ან მეორე კატეგორიის სავარჯიშო პროგრამა.

2024 წლისთვის, საკლუბო ღიცენზირების პროგრამის მეშვეობით ჩამოვაყალიბოთ ასაკობრივი გუნდები პროფესიონალ და ნახევრად-პროფესიონალ ქალთა კლუბებში, ხოლო ვაჟთა კლუბებში ჩამოვაყალიბოთ ქალთა გუნდები.

2022 წლისთვის, საქართველოს ყველა რეგიონში დავნერგოთ 12-წლამდე და 15-წლამდე გუნდებისთვის შეჯიბრები და 2023 წლისთვის ყველა რეგიონის მასშტაბით დავიწყოთ ახალი ფორმატის რეგიონალური შეჯიბრის განხორციელება.

2023 წლისთვის, დავაკავშიროთ WPS GEO-ს ღოკალიები ელიტურ ქალთა კლუბებთან და უზრუნველვყოთ აღნიშნული კლუბების ეფექტური კავშირი WPS-ის 15-წლამდე და 12-წლამდე გოგონათა გუნდებთან.

2023 წლისთვის, გავაუმჯობესოთ გულშემატკივართა გამოცდილება ყველა ელიტურ ქალთა კლუბში გულშემატკივართა ჯგუფის (ე.წ. ფანკლუბის) ჩამოყალიბებით.

ლიდერი და ჩართულობა

გავზარდოთ ქალთა და გოგონათა ფეხბურთის ცნობადობა საქართველოს მასშტაბით, რათა ხელი შევუწყოთ ჩართულობის გაზრდას, წარმოვაჩინოთ ნიჭიერი მოთამაშეები და ჩამოვაყალიბოთ ეროვნული სიამაყის შეგრძნება.

ჩამოვაყალიბოთ ქალთა ფებბურთის ბრენდი და შევიმუშავოთ საკომუნიკაციო სტრატეგია, რომელიც ხელს შეუწყობს ქალთა ფეხბურთის გაძლიერებას.

ქალთა ფეხბურთი გავხადოთ კომერციულად მიმზიდველი სპორტი საქართველოში.

2023 წლისთვის შევქმნათ ქალთა ფეხბურთის მონაცემთა ბაზა.

ციფრული ტრანსფორმაციის მეშვეობით, მნიშვნელოვნად გავაუმჯობესოთ კომუნიკაციები, ჩართულობა და შემოსავლების გენერირება.

საგუშაო ძალის განვითარება - "ქალები ქალთა ფეხბურთში"

დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით, შევქმნათ საინტერესო და მომგებიანი შესაძლებლობების მქონე გარემო ქართველი ქალებისთვის ფეხბურთში მუშაობისთვის.

2023 წლისთვის, ქვეყნის მასშტაბით უზრუნველვყოთ უსაფრთხო საფეხბურთო გარემო ყველა გოგონასთვის, რომელიც ჩართულია სხვადასხვა პროექტში. გავაფორმოთ ხელშეკრულებები ერთ სამთავრობო და ერთ არასამთავრობო ორგანიზაციასთან, რათა უზრუნველვყოთ ქალთა ფეხბურთში ბავშვთა დაცვის პოლიტიკის დანერგვის მხარდაჭერა.

2023 წლისთვის, ჩამოვაყალიბოთ ქალთა ფეხბურთის რეგიონუღ კოორდინატორთა ეროვნული ქსელი და საქართველოს თითოეულ რეგიონში დავნიშნოთ სულ მცირე ერთი კოორდინატორი/სკაუტი.

შევიმუშაოთ და დავნერგოთ სფფ-ის კატეგორიზაციის კრიტერიუმები ქალი მწვრთნელებისთვის. უზრუნველვყოთ, რომ საქართველოს მასშტაბით ყველა პირველი და მეორე კატეგორიის საფეხბურთო სკოლაში, დასაქმებული იყოს სულ მცირე ერთი ქალი მწვრთნელი.

უზრუნველვყოთ რეგიონუღ დონეზე UEFA-ს მწვრთნელთა განათლების მიწოდება - საქართველოს 3 მთავარ ქალაქში, ყოველწლიურად სულ მცირე 3-ჯერ UEFA-ს C ღიცენზიის კურსის ჩატარება.

სტრატეგიის დამხმარე მიმართულებები

წინდახედული, თანამედროვე ორგანიზაცია, რომელიც იცავს ფეხბურთის ინტერესებს

ჩვენთვის მოქნილი და ჰრომგრესული ორგანიზაცია, ჩვენ განვაგრძობთ წინსვლას, ჩვენი ძირითადი ღირებულებების, ინტეგრირებასა და ჰოჰულარიზაციას, ასევე ყველა ჩვენთან დაკავშირებული მხარის ინტერესების დაცვას.

GFF

ადამიანები და კულტურა

ჩამოვაყალიბოთ თანამშრომლობითი სამუშაო კულტურა ტალანტების მოსაზიდად და შესანარჩუნებლად; ადამიანური რესურსების ეფექტიანი მართვით შევქმნათ მიმზიდველი, კონკურენტუნარიანი და სოციალურად პასუხისმგებლიანი სამუშაო გარემო.

ღირებულებები

განვსაზღვროთ მკაფიო ორგანიზაციული ღირებულებები, მათ შორის კარგი მართვის და ეთიკის ფართო პრინციპები, და ეფექტურად შევატყობინოთ მათ შესახებ შიდა და გარე დაინტერესებული მხარეებს.

მმართველობა

შევიმუშაოთ მმართველობის მყარი სტრუქტურა წესებისა და სადისციპლინო რეგულაციების სამართლიანად, გამჭვირვალედ და თანმიმდევრულად გამოყენებისთვის.

სოციალური პასუხისმგებლობა

ორგანიზაციის შიგნით ჩამოვაყალიბოთ სოციალური პასუხისმგებლობის ძლიერი კულტურა; დავნერგოთ UEFA-ს სოციალური პასუხისმგებლობის რეკომენდაციები და პოლიტიკა სფფ-ის საქმიანობაში და წავახალისოთ დაინტერესებული მხარეები, რათა გაზარდონ თავისი წვლილი სოციალური პასუხისმგებლობის თვალსაზრისით.

GFF

პროფესიული განათლებისადმი კომპლექსური მიდგომით ფეხბურთის სფეროში პროგრესის გაძლიერება

ტრენინგების ჩატარებით, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებითა და შესაძლებლობათა გაძლიერების პროგრამებით, ჩვენ განვავითარებთ საფეხბურთო სამუშაო ძალას საქართველოში.



GFF
COACHING
CONVENTION
UEFA
GFF

მწვრთნელთა განათლება

შევქმნათ მწვრთნელთა განათლების სტრუქტურირებული ჩარჩოები (მოყვარულებიდან პროფესიონალებამდე) და მოვამზადოთ მწვრთნელების ახალი თაობა საერთო ეროვნული ფილოსოფიით.

პროფესიული საფეხურის ძალა და შესაძლებლობების გაძლიერება

საგანმანათლებლო პროგრამების და შესაძლებლობათა განვითარების ინიციატივების ფართო სპექტრის დანერგვით უზრუნველვყოთ სწავლის შესაძლებლობები ყველა შიდა და გარე დაინტერესებული მხარისთვის.

მსაჯთა განათლება

სასწავლო გარემო და რესურსები

სასწავლო გარემო და რესურსები

ჩამოვაყალიბოთ განათლების დეპარტამენტი და უზრუნველვყოთ მისთვის ყველა შესაბამისი რესურსი

მუდმივი სწრაფვა ცნობადობის და ჩართულობის ამაღლებისკენ, ფეხბურთის შემადგენელ ყველა დონეზე

ჩვენი მდიდარი საფეხბურთო წარსულის დახმარებით, მეტად გავალვივებთ ფეხბურთისადმი ინტერესს. ტრადიციული და ციფრული არხებით უზრუნველვყოფთ ინკლუზიური აუდიტორიის ჩართულობას და მოვუსმენთ ყველა დაინტერესებულ მხარეს, რათა ჩამოვაყალიბოთ თანამედროვე და ცოცხალი საფეხბურთო კულტურა.



AM GEORGIA

კომუნიკაცია

შევიმუშაოთ კომუნიკაციების, მარკეტინგისა და ბრენდის სტრატეგიები, რომლებიც ნათლად გამოხატავს ჩვენს ხედვას, მისიას, მიზანს, ღირებულებებსა და ამოცანებს ჩვენი ძირითადი აუდიტორიებისთვის.

ჩართულ მხარეთა გაერთიანება

განვახორციელოთ მკაფიო და პირდაპირი კომუნიკაცია ყველა დაინტერესებულ მხარესთან, რათა გავზარდოთ ჩართულობა და შევქმნათ პოზიტიური დამოკიდებულება საფეხბურთო ინდუსტრიის მიმართ.

იმიჯი

შევცვალოთ ფეხბურთის იმიჯი და წარმოვაჩინოთ სფფ, როგორც ღია და თანამედროვე ორგანიზაცია, რომელიც მთელი ქვეყნის მასშტაბით ხელს უწყობს ფებურთის უწყვეტ განვითარებას.

საერთაშორისო იმიჯი

ჩავატაროთ საერთაშორისო ტურნირები და შევიტანოთ განაცხადები მათ მასპინძლობაზე, რათა მოვახდინოთ საქართველოს პოზიციონირება საერთაშორისო საფეხბურთო ასპარეზზე.

ცნობიერება

ავამაღლოთ ფეხბურთის შესახებ ცნობიერება და გავხადოთ ფეხბურთი საყოველთაოდ მიმზიდველი მოსახლეობის ყველა სეგმენტისთვის.

ინვესტიცია წარმატებაში

გამოვიყენოთ ფინანსური მდგრადობის მიმართ ჯროგრესული მიდგომა და შევიმუშაოთ გრძელვადიანი გეგმა, რომელიც მოიცავს შემოსავლების გენერირებას, ხარჯების კონტროლს და ინვესტიციებისადმი გააზრებულ მიდგომას.

სტრატეგიული ბიუჯეტის შემუშავება

შევიმუშაოთ 4-წლიანი სტრატეგიული ბიუჯეტი სფფ-ის სტრატეგიული მიზნების შესასრულებლად და მხარდასაჭერად

კომერციული შემოსავლები

საფუძვლიანად გადავხედოთ საქართველოში ფეხბურთის კომერციალიზაციას, რათა გრძელვადიან პერსპექტივაში მაქსიმალურად გავზარდოთ კომერციული აქტივების ღირებულება.

ქაჯიბაღური ინვესტიციები

ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით მაქსიმალურად გავზარდოთ ობიექტებში პირდაპირი ინვესტიციები (სფფ-ის თანამონაწილეობით).

I AM GEORGIA

საფეხბურთო ინფრასტრუქტურის განვითარება

მთელი ქვეყნის მასშტაბით, შევუქმნათ საფეხბურთო ინფრასტრუქტურა ყველას, ვისაც ამ სპორტის თამაში სურს.

ობიექტების სტრატეგია და მართვა

შევიმუშაოთ მდგრადი ობიექტების სტრატეგია, რომელიც შეესაბამება და ემსახურება სფფ-ის სტრატეგიულ მიზნებს.

მასობრივი ფეხბურთის ობიექტები

შევქმნათ სტრატეგია, რომელიც მოიცავს საქართველოს ყველა რეგიონსა და თემს.

წამყვანი კლუბების ინფრასტრუქტურა

დავნერგოთ რეგულირებისა და მხარდაჭერის პროგრამა, რომელიც მიმართული იქნება ეროვნული საკლუბო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე.

სფფ-ის ეროვნული ინფრასტრუქტურული ობიექტები

შევქმნათ მაღალი ხარისხის სავარჯიშო პირობები ეროვნული გუნდებისა და ელიტური ახალგაზრდული გუნდების განვითარების პროგრამებისთვის.

საერთაშორისო ტურნირების მასპინძლობა

უზრუნველვყოთ მაღალი ხარისხის ობიექტების აშენება, რომლებიც აკმაყოფილებენ ფიფა-ს/უეფა-ს საშეჯიბრო სტანდარტებს.

ტექნოლოგიების მეშვეობით განვითარების ხელშეწყობა

სფფ-ის მასშტაბით დავნერგოთ ახალი ტექნოლოგიები, რათა განვახორციელოთ ორგანიზაციული ცვლილებები და ხელი შევუწყოთ ჩვენი მიზნების შესრულებას ანალიტიკის, განათლებისა და ორგანიზაციული განვითარების სფეროში

VAR
SEMINAR
Tbilisi, Georgia
GFF

ელექტრონული სწავლება

შევქმნათ უმაღლესი ხარისხის საგანმანათლებლო ონლაინ პლატფორმა სფფ-ის სამიზნე ჯგუფების პროფესიული განვითარებისთვის, რათა ხელი შევუწყოთ პროფესიული განვითარების მიზნებს და გავაუმჯობესოთ კლუბების, მწვრთნელების, ადმინისტრატორების, გუნდმმატკივრების, მსაჯების, მშობლების, მასობრივ ფეხბურთში ჩართული პირებისა და სხვა დაინტერესებული მხარეთა სტანდარტები.

შეჯიბრების მართვა

ინტეგრირებული ციფრული პლატფორმის საშუალებით შევქმნათ ყოველისმომცველი გადაწყვეტა მოთამაშეთა რეგისტრაციისთვის, ასევე მსაჯებისა და შეჯიბრების მართვისთვის.

სფფ-ის ციფრული განვითარება

ციფრული და დამხმარე სისტემების განახლება და ოპტიმიზაცია ეფექტური ოპერაციებისა და ორგანიზაციული საქიროებებისთვის.

მსაჯის ვიდეო ასისტენტი (VAR)

VAR-ის დანერგვით გარდავქმნათ წამყვანი შეჯიბრების ხარისხი და ხელი შევუწყოთ მსაჯობის ხარისხის/სამართლიანობის გაზრდას.

VAR
SEMINAR
TESY

ანალიტიკის მიმართულება, როგორც მოქნილი მართვისთვის საჭირო დანამატი

ჩვენ შევიმუშავებთ სისტემურ მიდგომას მონაცემთა და ინფორმაციის შეგროვების, ანალიზისა და გამოყენების მიმართ, რათა გავაუმჯობესოთ სტანდარტები და გადაწყვეტილებათა მიღების პროცესი ჩვენი მოქმედების სფეროში.

ანალიტიკის განყოფილება

ჩამოვაყალიბოთ სპეციალური განყოფილება, რომელიც მხარს დაუჭერს გადაწყვეტილებების მიღების პროცესს ყველა სფეროში

ურთიერთობების მართვა (CRM) და მონაცემები

დავნერგოთ ინტეგრირებული მონაცემთა ბაზა გულშემატკივრების შესახებ ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზისთვის

კვლევა

ჩამოვაყალიბოთ წლიური კვლევის პროგრამა

დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაცია

ჩამოვაყალიბოთ პროგრამა, რომელიც მიმართული იქნება დაინტერესებული მხარეების ჩართულობის, ასევე ბენჩმარკინგისა და კვლევის შესახებ ცნობადობის გაზრდაზე.

სპონსორები

საქართველოს ბანკი

Coca-Cola

macron

Crystalbet

aqua by bon aqua

UNFPA

DHL

პირველი არხი

სიდე სპორტი

ფოტო: სფფ / ლაშა კუპრაშვილი • ბაჩა ლაგვილავა • თამარ ყუღუმბეგაშვილი • UNFPA / ირაკლი ძნელაძე